საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "20" 05 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 720/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 27 იანვრის N 65993/03 განაცხადით შპს „ომექსი"-ს (მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, I კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 105, თბილისი, საქართველო) დირექტორმა ომეხ კიკალიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „OMEX" (რეგ. N 23692) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „OMEX" (რეგ. N 23692) საქართველოში რეგისტრირებულია 17.05.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 17.05.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-6, 30-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „OMEX" (რეგ. N 23692) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით მე-6 და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 247, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.05.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „ომექსი"-ს დირექტორს ომეხ კიკალიშვილს (მის: აკაკი წერეთლის გამზ. 89ა, 0119, თბილისი).

ასლი დედანთან სწორია
"20" 05 2013წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **23692**

მფლობელი: **შპს „ომექსი“**

მისამართი: **ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, I კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 105, 0177, თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი:

6 - ჩვეულებრივი ლითონები და მათი შენადნობები; ლითონის სამშენებლო მასალა; ლითონის მოძრავი კონსტრუქციები და ნაგებობები; ლითონის მასალა ლიანდაგებისათვის; ჩვეულებრივი ლითონის გვარლები და მავთული (არა ელექტრული); რკინა-კავეული და საკეტი ნაწარმი; ლითონის მილები და მილსადენები; სეიფები; ჩვეულებრივი ლითონის ნაკეთობა, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; მადანი.

30 - ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული.

35 - რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური.